# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 43/1

ქ. ქობულეთი.

1 ნოემბერი 2011 წ.

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა (II თავის, მე-10 მუხლი, მე-3 პუნქტი) და "სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების (III თავი, 23 მუხლი და V თავი, 25 მუხლი) შესაბამისად, *ერთის მხრივ ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრის დირექტორის ნაირა ვახაძის (ქ.ქობულეთი,ლესელიძის1)სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს"სწრაფი პროექტირება"მისი დირექტორი გიორგი ჩანტლაძის (ქობულეთის დ.აღმაშენებლის გამზირი №99/ ბ.49) (შემდგომში "მიმწოდებელი") სახით,* ვდებთ ხელშეკრულებას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" შემდეგზე:

## I. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "მიმწოდებელი" თანახმაა შეასრულოს ქობულეთში ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრის შენობის რეაბილიტაციის მიზნით სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია,კერძოდ კულტურის ცენტრის შენობაში Iსართულზესახაბიბლიოთეკო განყოფილების რემონტის ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 104(ასოთხი)ლარი და II სართულზე ქორეოგრაფიული ანსამბლის სარეპეტიციო დარბაზის რემონტის ხარჯთაღრიცხვა ღირებულებით 173 (ასსამოცდაცამეტი)ლარი, ხოლო "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს შესრულებული მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადაა: 2011 წლის 4 ნოემბერი

## II. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 277 (ორასსამოცდაჩვიდმეტი) ლარი.

2.2. "შემსყიდველი" ანგარიშსწორებას ახორციელებს "მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების, მიღება-ჩაბარების აქტისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 30(ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

2.4. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

2.5. ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული "მიმწოდებელი"-ს საბანკო რეკვიზიტებზე.

## III. მომსახურების მიღება-ჩაბარება

3.1. მომსახურების ან მისი ნაწილის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მხარეების მიერ გაფორმებული მიღება- ჩაბარების აქტით.მომსახურების გაწევა ხდება"შემსყიდველის"მიერ მითითებულიადგილმდებარეობის მიხედვით,მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.2. მომსახურების,მიღება-ჩაბარებას ახორციელებს "შემსყიდველის"მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირები.

3.3. მომსახურების ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს"მიმწოდებელი".

3.4. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად,წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს ხარისხთან შეუსაბამობის შედეგები,დაწუნებული მომსახურების და ხარვეზების მიზეზის მითითებით

3.5. მომსახურების ვადამდე შესრულების შემთხვევაში"შემსყიდველი"უფლებამოსილია მოახდინოს ანაზღაურება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## IV. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1.1 ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ვადებში შეასრულოს დაკისრებული ვალდებულება

4.1.2. გამოუწეროს "შემსყიდველს" სასაქონლო ზედნადები მის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად

4.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

4.2.1. შეუფერხებლად აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

## V. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე,თუ გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება,ეპიდემია,ომი,საზოგადოებრივი არეულობა ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.

5.2. თუ ხელშეკრულებით ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება 5(ხუთი) დღეზე მეტხანს,მხარეებს უფლება აქვთ შეუწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედების კომპენსაციის უფლებების გარეშე

5.3. მხარეს, რომელმაც შექმნა ფორს-მაჟორული გარემოება,დაუყონებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს.

## VI. პასუხისმგებლობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 20%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

6.3. "მიმწოდებლის" მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან "შემსყიდველი"-ს მიერ მიცემული შენიშვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველს" შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო "მიმწოდებელი" ვალდებულია აუნაზღაუროს "შემსყიდველს" მიყენებული ზარალის საფასური, მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

## VII.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და წყვეტს მოქმედებას 2011 წლის 21 ნოემბერს

## VIII. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ორივე მხარე ვალდებულია წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვიტონ ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებს მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

## IX. სხვა პირობები

9.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით.

9.4. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე, ცნობების განმარტებისას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიმოწერა შესრულებული უნდა იქნას ქართულ ენაზე.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

9.6. ორივე მხარე ვალდებულია წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვიტონ ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.7. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებს მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

9.8. თუ მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლინდა ცალკეული გადაწყვეტილების შეცვლის ან შევსების აუცილებლობა, პირველადი პირობების განსხვავებით "შემსყიდველი"-ს მოთხოვნით ეს სამუშაოები ნატარდება დამატებითი ხელშეკრულებით სამუშაოთა შესრულების ვადებისა და მათი ღირებულების ჩვენებით;

## X. "შემსყიდველი"-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

10.1. "შემსყიდველი"-ს მისამართი: ქ. ქობულეთი: ლესელიძის ქ.1

10.2. "შემსყიდველი"-ს საბანკო რეკვიზიტები: სს "სახალხო ბანკი"-ს ქობულეთის ფილიალი ბ/კ LBRTGE22, ანგ.№-340800156 საინ.კოდი 247007126

10.3. "შემსყიდველი" – ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი
დირექტორი ნ.ვასაძე

## XI. "მიმწოდებელი"-ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

11.1 "მიმწოდებელი"-ს მისამართი: ქობულეთი,აღმაშენებლის გამზირი № 99/ბ-49

11.2. "შემსყიდველი"-ს საბანკო რეკვიზიტები, სს "პროკრედიტ ბანკი"-ს ქობულეთის ფილიალი ბ/k MIBGGE22. ანგ.№-GE19PC0073600100011423 საიდენ.კოდი № 247 009 124

11.3. "მიმწოდებელი" – შპს"სწრაფი პროექტირება"

"შემსყიდველი"
ქობულეთის კულტურის ცენტრი
დირექტორი: ნ.ვასაძე

"მიმწოდებელი"
შპს "სწრაფი პროექტირება"
დირექტორი გ.ჩანტლაძე